

კორპორაციული მმართველობის შესაბამისობის გაძლიერება და
ინფორმაციული ასიმეტრიულობის შემცირება სათანადო
წინდახედულობის (Due Diligence) მეშვეობით შერწყმა-შესყიდვის
(M&A) ტრანზაქციებში

მარიამ ქობალია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ ქობალია, 23.06.2025

აბსტრაქტი

შერწყმისა და შესყიდვის (M&A) ტრანზაქციები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში საწარმოების გაფართოებისა და ბაზარზე პოზიციონირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, თუმცა, მიუხედავად მზარდი ტენდენციისა, გამოწვევად რჩება წარუმატებელი ტრანზაქციების ჭარბი ოდენობა, რის ძირითად მიზეზებადაც ლიტერატურა ინფორმაციული ასიმეტრიის პრობლემას და არასრულყოფილ დიუ დილიჯენსს ასახელებს.

ნაშრომის მიზანია ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებს შორის M&A ტრანზაქციებში სრულყოფილი დიუ დილიჯენსის პროცედურის როლის წარმოჩენა გარიგებასთან დაკავშირებული ინფორმაციული ასიმეტრიით გამოწვეული რისკების შემცირებასა და კორპორაციული მმართველობის შესაბამისობის გაუმჯობესებაში. კვლევა ცდილობს, შეავსოს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სიცარიელე საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევა ეფუძნება ტრადიციული ლიტერატურის, საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტების, სტატისტიკისა და ემპირიული მაგალითების, ასევე აშშ-ის, ევროკავშირისა და საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს შედარებით ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანას, სადაც კორპორაციული მმართველობის სტანდარტების გაუმჯობესება და ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტულია.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, კვლევამ აჩვენა, რომ ინფორმაციის არათანაბარი გადანაწილების პირობებში შემძენი, ძირითადად, მეტი რისკის წინაშე დგას, ვიდრე გამყიდველი კომპანია. დიუ დილიჯენსის ეფექტურობას, მეტწილად, განაპირობებს სტრატეგიულად სწორად შედგენილი დიუ დილიჯენსის კითხვარი, თავად სრულყოფილი დიუ დილიჯენსი კი მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანზაქციის მხარეთა შორის ინფორმაციულ უთანასწორობას, ხელს უწყობს კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას და ზრდის ტრანზაქციის

წარმატების შანსებს. კორპორაციული მმართველობის მაღალ დონეს, თავის მხრივ, შეუძლია შეარბილოს ინფორმაციული ასიმეტრია და მასთან დაკავშირებული რისკები. დაბოლოს, საქართველოს კონტექსტში გამოვლინდა დიუ დილიჯენსისა და კორპორაციული მართვის კულტურის სიმწირე და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დიუ დილიჯენსი, სათანადო წინდახედულობა, ინფორმაციული ასიმეტრიულობა, დიუ დილიჯენსის კითხვარი, კორპორაციული მართვის შესაბამისობა, ტრანზაქცია, M&A.

Abstract

Mergers and acquisitions (M&A) transactions are an important tool for enterprise expansion and market positioning in the context of economic globalization. However, despite their growing trend, a significant challenge remains the high number of failed transactions, which, according to the literature, is primarily attributed to the problem of informational asymmetry and inadequate due diligence.

The aim of this thesis is to highlight the role of a comprehensive due diligence procedure in M&A transactions between publicly held joint-stock companies, in reducing risks caused by informational asymmetry related to the deal and in improving corporate governance compliance. The research seeks to fill the existing gap in Georgian academic literature regarding the subject.

The research is based on traditional literature, documents from international organizations, statistics and empirical examples, as well as a comparative analysis of the legal frameworks of the United States, the European Union, and Georgia. Special attention is given to Georgia as a transition economy, where improving corporate governance standards and attracting investment are national priorities.

Taking all of this into account, the research demonstrated that under conditions of unequal distribution of information, the acquiring company generally faces greater risks than the selling company. The effectiveness of due diligence largely depends on a strategically well-prepared due diligence questionnaire, while comprehensive due diligence significantly reduces informational asymmetry between the parties to the transaction, supports the improvement of corporate governance, and increases the likelihood of a successful deal. A high level of corporate governance, in turn, can mitigate informational asymmetry and the associated risks. Finally, in the context of Georgia, a lack of due diligence and corporate governance culture was identified, and relevant recommendations were provided.

Key words: Due diligence, information asymmetry, due diligence questionnaire, corporate governance compliance, transaction, M&A.